სოციალური სამართლიანობის ცენტრი თემირლან მაჩალიკაშვილის საქმეზე სიახლეებს ავრცელებს

სოციალური სამართლიანობის ცენტრი მიმოიხილავს თემირლან მაჩალიკაშვილის საქმეზე ეროვნულ დონეზე უკანასკნელ პერიოდში მიმდინარე მოვლენებს, რაც უკავშირდება თემირლან მაჩალიკაშვილის უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევის ფაქტზე სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიმართ წარმოებულ დავას და აგრეთვე, მაჩალიკაშვილის საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას ამოღებული ფულადი თანხის წარმომავლობის დადგენას და ოჯახისთვის დაბრუნებას. ამ საკითხებზე დიდი ხნის განმავლობაში საქმეზე არ ჩანდა დინამიკა. თუმცა, ამ დროისათვის სახელმწიფო უწყებებისა და სასამართლოს გადაწყვეტილებების შემდეგ, საქმეზე მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის გათვალისწინებით, გვაქვს შესაძლებლობა გაგიზიაროთ სიახლეები:

- **თემრილან მაჩალიკაშვილის საცხოვრებელი სახლიდან ამოღებული ტელეფონის, პირადი თანხისა და სხვა ნივთების ოჯახისთვის დაბრუნების საკითხი**

როგორც ცნობილია, თბილისის პროკურატურაში მაჩალიკაშვილის სიცოცხლის ხელყოფის საქმეზე მიმდინარე გამოძიება 2020 წლის იანვარში შეწყდა და ამავე პერიოდში სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა შეწყვიტა გამოძიება მაჩალიკაშვილის მიმართ ტერორიზმის მხარდაჭერის საქმეზე. ორივე უწყებაში გამოძიების შეწყვეტის მიუხედავად, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური და პროკურატურა წლების განმავლობაში უარს აცხადებდნენ მაჩალიკაშვილის საცხოვრებელი სახლიდან 2017 წლის 26 დეკემბერს ჩატარებული ჩხრეკის შედეგად ამოღებული მაჩალიკაშვილის კუთვნილი მობილური ტელეფონის, კომპიუტერის და ოჯახის კუთვნილი ფულის ოჯახის წევრებისთვის დაბრუნებაზე. **მიმდინარე წლის 5 ივლისს, გამოძიების შეწყვეტიდან 1.5 წლის შემდეგ, გენერალურმა პროკურატურამ და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა მაჩალიკაშვილის ოჯახის წევრებს სრულად დაუბრუნა ამოღებული ნივთები. უნდა ითქვას, რომ თემირლან მაჩალიკაშვილის პირადი ნივთების დაბრუნების პროცესი მაჩალიკაშვილების ოჯახისთვის ემოციურადაც მნიშვნელოვანი იყო, რადგან ეს მათი გარდაცვლილი შვილის პირადი ნივთებისა და მეხსიერების (ტელეფონში შენახული ფოტო და ვიდეო მასალა) დაბრუნების ძლიერ სურვილს უკავშირდებოდა.**

წლების განმავლობაში, სუს-ის და პროკურატურის განმარტებით, უარი ნივთებისა და ამოღებული ფულადი თანხის დაბრუნებაზე განპირობებული იყო იმ ფაქტით, რომ უწყებებს უნდა შეესწავლათ ამოღებული ფულადი თანხის წარმომავლობა და მისი შესაძლო კავშირი ჩატაევის დაჯგუფებასთან. მიუხედავად იმისა, რომ ამ დროის განმავლობაში სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს წარვუდგინეთ არაერთი მტკიცებულება, რომელიც ადასტურებდა, რომ ამოღებული თანხა ეკუთვნოდა თ. მაჩალიკაშვილის ოჯახის წევრებს, უწყებები მაინც ცდილობდნენ ის ჩატაევთან და მის დაჯგუფებასთან დაეკავშირებინათ. თუმცა, საქმის ობიექტური, ფაქტობრივი გარემოებები ცალსახად მიუთითებდა, რომ მაჩალიკაშვილს შემხებლობა ჩატაევთან არ ჰქონია და შესაბამისად, არც ფინანსური რესურსებით უსარგებლია. ამას ადასტურებს ფულადი თანხის ოჯახის წევრებისათვის დაბრუნებაზე სუს-ის და გენერალური პროკურატურის უკვე ბოლოს მიღებული გადაწყვეტილებაც.

აღსანიშნავია, რომ თემირლან მაჩალიკაშვილის პირადი მობილური ტელეფონის გადმოცემის შემდეგ, ჩვენ ვერ შევძელით მისი სათანადო დათვალიარება, რადგან მის Facebook და WhatsApp აპლიკაციაზე წვდომა ვერ ხერხდება. თუმცა ჩვენ დავათვალიერეთ ტელეფონში შენახული სხვა მონაცემები, მათ შორის, ფოტო მასალა და მასში ახალი შინაარსის მონაცემები და ინფორმაცია, მით უფრო, რაც ოფიციალური გამოძიების ნარატივებთან იქნებოდა კავშირში, ვერ აღმოვაჩინეთ.

- **სასამართლო დავა თემირლან მაჩალიკაშვილის უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევის თაობაზე**

როგორც საზოგადოებისთვის ცნობილია, 2018 წელს თემირლან მაჩალიკაშვილის მშობლებმა სარჩელით მიმართეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მხრიდან მათი გარდაცვლილი შვილის მიმართ უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევის დადგენის და ამავე დარღვევით მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით.

დავა შეეხებოდა 2017 წლის 26 დეკემბერს ჩატარებული სპეცოპერაციის შესახებ საზოგადოების ინფორმირების მიზნით, 2017 წლის 26 დეკემბერის და 2018 წლის 4 იანვარის სუს-ის საჯარო განცხადებებს. კერძოდ, 2017 წლის 26 დეკემბერს სუს-ის ადმინისტრაციის უფროსმა საზოგადოების ინფორმირების მიზნით გამართულ ბრიფინგზე თემირლან მაჩალიკაშვილი მტკიცებით ფორმაში მოიხსენია დანაშაულის (ტერორიზმის მხარდაჭერა) გამომხატველი სიტყვებით (ხელი შეუწყო, დაეხმარა, ხელშემწყობი პირი იყო და ა.შ), იმავე ტერმინოლოგიით გაიმართა 2018 წლის 4 იანვრის ბრიფინგი, სადაც დამატებითი განმარტებების გარეშე გავრცელდა ვიდეომასალაც, რომელშიც თემირლან მაჩალიკაშვილი საჯარო სივრცეში გადაადგილდებოდა, ბერი სალოსის ქუჩაზე დაკავებულ/ლიკვიდირებულ პირებთან ერთად.

როგორც აღინიშნა, თემირლან მაჩალიკაშვილის მიმართ ტერორიზმის მხარდაჭერის ბრალდებით, სისხლის სამართლის კოდექსის 331-ე პრიმა მუხლის საფუძველზე მიმდინარე გამოძიებისა და მისთვის სასამართლოს მხრიდან გაცემული დაკავების განჩინების მიუხედავად, ბრალის ოფიციალური წარდგენა და ბრალდებულის სტატუსის მინიჭება არ მომხდარა. ბრალდებულის სტატუსის არარსებობის მიუხედავად, სპეცოპერაციის ჩატარების დღიდან, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური მედიასთან, სპეცოპერაციის თაობაზე საჯაროდ გაკეთებულ განცხადებებში, შესაბამისი სასამართლოს გადაწყვეტილების, გამამტყუნებელი განაჩენის არსებობის გარეშე, პირდაპირ მტკიცებით ფორმაში, ყოველგვარი ეჭვის ან ვარაუდის დაშვების გარეშე უთითებდა თემირლანის დამნაშავეობაზე და მის მიერ ტერორისტული საქმიანობის მხარდაჭერაზე. საქართველოს პროკურატურას სისხლისსამართლებრივი დევნა არ დაუწყია თემირლანის მიმართ, თუმცა ამის თაობაზე არცერთ ხსენებულ ბრიფინგზე არ მომხდარა საზოგადოების ინფორმირება.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ, გაკეთებული განცხადებების შედეგად, თემირლან მაჩალიკაშვილს თვითნებურად მიენიჭა დამნაშავის სტიგმა. აღნიშნული სტიგმა ორმაგად მძიმეა ისეთ ქმედებასთან დაკავშირებით, რომელიც ტერორიზმსა და მის მხარდაჭერას უკავშირდება . ეს რიტორიკა მაჩალიკაშვილების ოჯახის ღირსებას აზიანებდა და ხელისუფლების მიერ ორგანიზებული საინფორმაციო კამპანია მათთვის დამანგრეველ ტრავმატულ გამოცდილებას უკავშირდება. უნდა ითქვას, რომ ეს რიტორიკა ასევე სიმპტომატურია პანკისის ხეობასთან დაკავშირებით გაბატონებული წარმოდგენებისა და პოლიტიკის გათვალისწინებით, რომელიც ამ რეგიონს ჭარბად უსაფრთხოების პერსპექტივიდან ხედავს და ხშირად ხელოვნურად ქმნის რადიკალიზმისა და ტერორიზმის დისკურსებსა და სახე-ხატებს. ამ კონტექსტში უდანაშაულობის პრეზუმფციის საკითხზე დავას, სწორედ ამ რიტორიკის შეკავებისა და დაზარალებული ოჯახის ღირსების დაცვის მნიშვნელობა ჰქონდა.

საქმეზე უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევის აშკარა ნიშნების მიუხედავად, 2019 წლის 5 თებერველს პირველი ინსტანციის სასამართლომ არ დააკმაყოფილა თემირლანის ოჯახის სარჩელი. 2022 წლის გადაწყვეტილებით კი აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში დატოვა თბილისის სააპელაციო სასამართლომ. ორივე ინსტანციაში სასამართლომ არასწორად განმარტა უდანაშაულობის პრეზუმციის კანონმდებლობით დადგენილი სტანდარტი, ამასთან არ გაიზიარა მსგავს საკითხებზე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დადგენილი პრაქტიკა. უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევა/არდარღვევის კვალიფიკაციისთვის 2017 წლის 26 დეკემბრის ბრიფინგის შემთხვევაში, სასამართლომ მოიშველია განცხადების დასრულების შემდგომ კითხვა-პასუხის ეტაპი და ამავე ეტაპზე დამატებით გაჟღერებულ ინფორმაცია გამოძიების მიმდინარეობის შესახებ. ორივე სასამართლოს შეფასების მიღმა დარჩა საქმის კონტექსტი, სუს-ის განცხადებების შედეგად საზოგადოებაში არსებული აღქმის ცვლილება და ინფორმაციის გასაჯაროების

შედეგად, გარდაცვლილი თემირლან მაჩალიკაშვილის მიმართ ჩამოყალიბებული დამნაშავის სტიგმა.

უდანაშაულობის პრეზუმფცია უმნიშვნელოვანესი კონსტიტუციური პრინციპია, რომელიც პირდაპირ უკავშირდება სამართლიანი სასამართლოს, სრულყოფილი დაცვის, ბრალდებულის საპროცესო უფლებების არსებობას. ეს პრინციპი გულისხმობს არა მხოლოდ ფორმალობებს არამედ მოპყრობას იმ დაშვებით, რომ პირი არ არის დამნაშავე. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო არაერთ მსგავს საქმეში ადგენს უდანაშაულობის პრეზუმციის დაცვის სტანდარტს და ამავე სტანდარტის ფარგლებში საზოგადოების ინფორმირების მიზნით საჯარო მოსამსახურეთა მიერ განსაკუთრებული სიფრთხილის გამოჩენის ვალდებულებას. როგორც ევროპული სასამართლო განმარტავს, უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპი ავალდებულებს საჯარო თანამდებობის ნებისმიერ პირს არ გამოხატოს წინასწარი მოსაზრებები იმ პირის ბრალეულობასთან დაკავშირებით, ვის მიმართაც აღძრულია სისხლის სამართლის საქმე. ეს მოსაზრებები სხვადასხვაგვარად შეიძლება იქნას გამოხატული. ამიტომ უდანაშაულობის პრეზუმფცია ავალდებულებს არა მხოლოდ იმას, რომ სასამართლომ ან საჯარო თანამდებობის პირმა ასეთი პირის მიმართ არ გამოიყენოს უშუალოდ დანაშაულის აღმნიშვნელი სიტყვა (მაგ., სიტყვა „გამოსძალა“), არამედ იმასაც, რომ არც სხვა სიტყვებით გამოხატოს წინასწარი აზრი (მოსაზრება, თვალსაზრისი, შეფასება, კომენტარი) მის ბრალეულობასთან დაკავშირებით.

ნიშანდობლივია ისიც, რომ ფრაზა - გამოძიების ამ ეტაპისთვის დგინდება არ და ვერ აქარწყლებს სუს-ის მიერ უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევის ფაქტს, მით უფრო იმის ფონზე, რომ კონკრეტულად თემირლან მაჩალიკაშვილის შემთხვევაში დაკავების განჩინება, ბრალდებულის სტატუსი, სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყების ფაქტიც კი არ არსებულა. ამასთან, როდესაც საუბარია საზოგადოების ინფორმირების მიზნით გაკეთებულ განცხადებაზე პროფესიული წრეებისთვის გასაგები ფრაზები (მტკიცებულებითი სტანდარტები და სხვა) ფართო მასებისთვის აბსოლუტურად გაუგებარი შეიძლება იყოს ან/და სრულად სხვა შინაარს იძენდეს.

ნიშანდობლივია ისიც, რომ უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღევის ფაქტებზე ქართული სასამართლო პრაქტიკა თითქმის არ არსებობს. ეროვნულ და საერთო სასამართლოების დონეზე დღემდე არ გვაქვს არსებითი სამოსამართლო შეფასებები.

რამდენიმე კვირის წინ საქართველოს უზენაესმა სასამართლო წარმოებაში მიიღო სოციალური სამართლიანობის ცენტრის საკასაციო საჩივარი. ვიმედოვნებთ, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლო საქმის მნიშვნელობის და პრეცედენტულობის გათვალისწინებით არსებითად შეცვლის წინა ინსტანციების გადაწყვეტილებებს. ამ საქმეზე თემირლანის ოჯახის მოთხოვნების დაკმაყოფილების გადაწყვეტილება იქნება წლების მანძილზე სახელმწიფო უწყებების მხრიდან უდანაშაულობის

პრეზუმფციის მნიშვნელობის არაღიარების პოლიტიკის რევიზია. იმ შემთხვევაში თუ ეროვნულ დონეზე უდანაშაულის პრეზუმფციის და ამის გამო მაჩალიკაშვილების ოჯახის ღირსების შელახვის საქმეზე უფლების აღდგენა ვერ მოხერხდა, სოციალური სამართლიანობის ცენტრი ამ ნაწილში დავას ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში გააგზავნის.

- **ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო**

როგორც საზოგადებისთვის ცნობილია ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში თემირლან მაჩალიკაშვილის სიცოცხლის ხელყოფისა და აშკარად არაეფექტიანი გამოძიების საქმეზე განაცხადი 2019 წლის ივნისში გაიგზავნა. ევროპულმა სასამართლომ საქმეზე დაჩქარებული განხილვა დაიწყო. 2020 წლის ბოლოსთვის ევროპულმა სასამართლომ საქმეზე უკვე დაასრულა კომუნიკაცია მთავრობასთან და მათ შორის, მიიღო ჩვენი მოსაზრებები სამართლიანი დაკმაყოფილების (just satisfaction) საკითხებზე. ამ დრომდე ჩვენ ველოდებით ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების საქმეზე.